

გერმანიკული ენები

გერმანიკული ენები ინდოევროპულ ენათა ოჯახის ერთ-ერთ შტოს წარმოადგენს. გერმანიკული ენები განვითარდა პროტო-გერმანიკული ენის დიფერენციაციის შედეგად. გერმანიკულ ენებს, მათზე მოლაპარაკე ადამიანების რაოდენობის მიხედვით, ინდოევროპულ ენებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სხვადასხვა ინდოევროპულ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 1600 მილიონი ადამიანი, მაშინ როდესაც გერმანიკულ ენებზე, როგორც მშობლიურ ენაზე, ლაპარაკობს 450 მილიონზე მეტი ადამიანი.

გერმანიკული ენები სამ ჯგუფად იყოფა: **აღმოსავლურ გერმანიკული**, **ჩრდილოურ გერმანიკული** და **დასავლურ გერმანიკული** ენები.

აღმოსავლურ გერმანიკული ჯგუფის უმთავრესი ენაა – **გოთური ენა**.

დღეისათვის გოთური ენა მკვდარი ენაა, მაგრამ იგი კარგად შემოგვინახა ჩვენამდე მოღწეულმა IV საუკუნის ერთადერთმა წერილობითმა ძეგლმა – „ვერცხლის კოდექსმა“. იგი ვესტგოთი ეპისკოპოსის ულფილას მიერ თარგმნილი ბიბლიის ფრაგმენტებს მოიცავს (ოთხთავი და ძველი აღთქმის ზოგიერთი ნაწილი). ულფილასვე მიეწერება გოთური ანბანის შექმნა. გოთურ ენას ორი დიალექტი ჰქონდა: ვესტგოთური (დასავლური) და ოსტგოთური (აღმოსავლური). ეს ენა ჩვ.წ.-ის II – III საუკუნეებში ჩამოყალიბდა. გოთური ენის ოსტგოთური დიალექტი, კერძოდ, ე.წ. ყირიმული გოთური, ცოცხალი ენა იყო ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სკანდინავიაში აღმოჩენილ რუნიკულ წარწერებს, ულფილას მიერ თარგმნილი ოთხთავი არის გერმანიკული ენების ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლი. გოთური ენა თავისი სტრუქტურითა და ლექსიკით ახლოს დგას პროტო გერმანიკულ ენასთან. გოთური ენის გარდა, გერმანიკული ენების აღმოსავლურ ქვეჯგუფში შედიოდა **ბურგუნდიული** და **ვანდალური ენები**. ორივე ეს ენა დღეს

მკვდარი ენაა და არც წერილობითი ძეგლი არ არის შემორჩენილი ამ ენებზე. ისინი უკვალოდ გაქრა.

გერმანიკული ენების **ჩრდილოური ქვეჯგუფი** აერთიანებს **სკანდინავიურ ენებს**. ყველაზე ადრეული წერილობითი ძეგლები რუნიკული წარწერებია, რომლებიც III საუკუნით თარიღდება.

VII საუკუნეში ძველი სკანდინავიური ენა გაიყო აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებად. XII – XIII საუკუნეებში იწყება სკანდინავიელი ხალხების ენების: ძვ. შვედურის, ძვ. დანიურის, ძვ. ნორვეგიულისა და ძვ. ისლანდიურის ჩამოყალიბება. აღმოსავლური ჯგუფი აერთიანებს **შვედურსა და დანიურს**, ხოლო დასავლურ ჯგუფში შედის **ნორვეგიული, ისლანდიური და ფარერული ენები**.

ნორვეგიულ ენას ორი ვარიანტი აქვს: 1. Bokmål (სიტყვასიტყვით "book tongue") და 2. Nynorsk, Neo-Norwegian ან New Norwegian.

შუა საუკუნეების მიწურულიდან ნორვეგიული ენა განიცდიდა შვედურის, შემდეგ კი დანიური ენის ძლიერ გავლენას. ამის შედეგად დანიური ენა იქცა ნორვეგიის ქალაქის მოსახლეობის ენად და ქვეყნის სალიტერატურო ენად. ეს ნაწილობრივ განაპირობა ამ სამი ქვეყნის პოლიტიკურმა კავშირმა, 1597 წელს ნორვეგია გახდა დანიის სამეფოს ნაწილი; მეორე მხრივ კი რეფორმაციამ, რომლის დროსაც ბიბლია და სხვა რელიგიური შინაარსის თხზულებები დანიურ ენაზე გაერცვლდა ნორვეგიაში. Bokmål პრაქტიკულად არის დანიური ენა, რომელმაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნორვეგიზაცია განიცადა. რაც შეეხება ახალ ნორვეგიულს (Nynorsk), ეს ენა XIX საუკუნის შუა წლებში შეიქმნა ადგილობრივი ნორვეგიული დიალექტების საფუძველზე და მასზე დღეს მოსახლეობის 15 % საუბრობს. ნორვეგიული ენის ორივე ვარიანტს სახელმწიფო ენის სტატუსი აქვს და დაცულია სახელმწიფოს მიერ. ნორვეგიაში იყო მოლოდინი, რომ ეს ორი ვარიანტი თანდათან ერთ სახელმწიფო ენად გაერთიანდებოდა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მოლოდინი არ გამართლდა.

ძველ სკანდინავიურ ენებს შორის განსაკუთრებით გამოირჩევა **ძველი ისლანდიური ენა**, ვინაიდან ამ ენაზე მნიშვნელოვანი ლიტერატურული ნაწარმოებები შეიქმნა. მხედველობაში გვაქვს **უფროსი ანუ პოეტური ედა**, ძველი ისლანდიური მითოლოგიური და საგმირო სიმღერების კრებული და **უმცროსი ანუ პროზაული ედა**, რომელიც ორმოცამდე საგას და პროზაულ ეპოსს აერთიანებს.

დასავლურ გერმანიკული ენებია: **ინგლისური, გერმანული, ნიდერლანდური (ჰოლანდიური და ფლანდრიული), ფრიზული, იდიში და აფრიკაანსი**.

1. ინგლისური ენა. ინგლისურ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე, დღეისათვის ლაპარაკობს დაახლოებით 300 მილიონზე მეტი ადამიანი. იგი არის დიდი ბრიტანეთის, აშშ-ს, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის სახელმწიფო ენა. მეორე სახელმწიფო ენაა კანადაში (ფრანგულ ენასთან ერთად, ამასთან ინგლისურენოვანი კანადელები მოსახლეობის 40%-ს შეადგენს) და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში (აფრიკაანსთან ერთად). ინგლისური ენა ფართოდაა გავრცელებულია დიდი ბრიტანეთის ყოფილ კოლონიებში, იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა.

2. გერმანული ენა. გერმანულ ენაზე, როგორც მშობლიურ ენაზე დღეისათვის ლაპარაკობს 100 მილიონზე მეტი ადამიანი. იგი სახელმწიფო ენაა გერმანიასა და ავსტრიაში, ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა შვეიცარიასა და ლუქსემბურგში. საფრანგეთის ტერიტორიაზე გერმანული ენა გავრცელებულია ელზასსა და ლოტარინგიაში.

3. ნიდერლანდური ენა (ჰოლანდიური + ფლანდრიული). ნიდერლანდულ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 19 მილიონი ადამიანი. იგი არის ნიდერლანდის სამეფოს სახელმწიფო ენა და ერთ-ერთი სახელმწიფო ენაა ფლანდრიაში, რომელიც აერთიანებს ბელგიის ჩრდილო პროვინციებს.

4. აფრიკაანსი. აფრიკაანსი, აფრიკანერების ანუ ბურების ენა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა ინგლისურ ენასთან ერთად.

XVII საუკუნეში ჰოლანდიელმა კოლონისტებმა დაიპყრეს სამხრეთ აფრიკა. ჰოლანდიური დიალექტების საფუძველზე სამხრეთ აფრიკაში განვითარდა ახალი დასავლურ გერმანიკული ენა – აფრიკაანსი, რომელიც ჰოლანდიურ ენას ჰგავს. XIX საუკუნის II ნახევრამდე აფრიკაანსი ზეპირი სალაპარაკო ენა იყო. წერილობითი ძეგლები ამ ენაზე გაჩნდა მხოლოდ XIX საუკუნის 70-იან წლებში. სახელმწიფო ენად აფრიკაანსი აღიარეს 1925 წელს.

5. იდიში. იდიში, თანამედროვე ებრაული ენა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ებრაელთა ნაწილის ენაა. ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი. იდიში არ არის ისრაელის სახელმწიფო ენა. ისრაელის სახელმწიფო ენაა ებრაული ენა (Hebrew), რომელიც სემიტურ ენათა ოჯახის წარმომადგენელია არაბული ენის მსგავსად.

იდიში გერმანული ენის საფუძველზე განვითარდა X – XI საუკუნეებში. ამ ენაზე შექმნილია ლიტერატურა, გამოდის ჟურნალ-გაზეთები.

6. ფრიზული ენა არ არის დამოუკიდებელი სახელმწიფო ენა. ეს ენა არის ჰოლანდიის ბილინგვური პროვინციის – ფრისლანდიის ერთ-ერთი ენა ჰოლანდიურ ენასთან ერთად. ფრიზული ენა ასევე გავრცელებულია გერმანიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე პატარა ოლქში.

ფრიზულ ენაზე დაახლოებით 400 ათასი ადამიანი ლაპარაკობს.